სამშობლო, დედის მუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
14
თებერვალი
№19 (10412)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავამკვიდროთ მობილური, ავტორიტეტული ადგილობრივი ხელისუფლება

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების საკითხები, რესპუბლიკაში შექმნილი ახლანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი განიხილეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის რაიონულ ორგანიზაციათა გამგეობის წევრების კრების მონაწილეებმა, რომელიც 10 თებერვალს გაიმართა თბილისის კინოს სასახლეში.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი—თელავის რაიონის პრეფექტი ავთანდილ რცხილაძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჭითავა, უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ღეიმურაზ ქორიძე, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალ არჩევნებში წარმატებას, განაცხადეს, რომ საჭიროა არჩევნებში მონაწილეობისათვის კანდიდატურათა გულდასმით, გააზრებით შერჩევა, ესენი უნდა იყვნენ ავტორიტეტიანი პიროვნებანი, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა და უნარი შესწევთ განამტკიცონ ადგილებზე კანონიერება და მართლწესრიგი, და სრულიადაც არა დიქტატურის ახალი ფორმა, როგორც ამას აცხადებს და მოსახლეობას აშინებს ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში, კერძოდ, აღნიშნა, რომ დღეს სიტუაცია ჩვენს რესპუბლიკაში უკიდურესობამდე დაძაბულია, ოსი ექსტრემისტები კვლავაც ხელს უწყობენ კრემლს, ჯიუტად უპირისპირდებიან უზენაეს საბჭოს კონგრესში გაერთიანებულ პარტიათა წარმომადგენლებიც. რაც შეეხება მათ მიერ 23 თებერვლისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან დასახულ აქციას, ეს პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს არმიის გამოსვლა საქართველოს კანონიერი, დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა ხალხი მხარს უჭერს მის მიერ არჩეულ პარლამენტს, ახალ მთავრობას და საკადრისად მიუზღავს ყოველ პროვოკატორს.

სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა თავხედური ბანდიტიზმი, საქართველოს ინტერესების უნამუსო ღალატი, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, თავდასხმას საქართველოს მილიციის განყოფილებებზე იარაღის გატაცების მიზნით, როცა იგი არ ჰყოფნით თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს სამაჩაბლოში წესრიგის დასამყარებლად. ადგილებზე მრავალი სხვა დანაშაულებრივი მოქმედებაც ხდება. და ამისათვის წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს მხოლოდ მობილური ხელისუფლება, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ანარქიასა და უკანონობას, ხელს შეუწყობს ჭეროვანი წესრიგის დამყარებას.

საქინფორმი

## საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ და საქალაქო საარჩევნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სიიდან

### 1. საქალაქო საარჩევნო კომისიები

#### ზუგდიდის

თავმჯდომარის მოადგილე — ჯგუშია ნანი მაგულის ასული — პოლიტექნიკურ სასწავლო პროფ. კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტი, რადიკალური კავშირი

წევრები

ქობალია ზაურ დავითის ძე — დროებით უმუშევარი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

გაგნიძე ალბინა ვლადიმერის ასული—ფაიფურის ქარხნის მუშა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ჯიქია ზურაბ ვარლამის ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვის და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი. სახალხო ფრონტი.

ბადრიძე ანზორ სოლომონის ძე—ეკონომისტი, აგრომრეწვის საკონტროლო-სარევიზიო საქართველოს წამყვანი რევიზორი, მიწათმოქმედთა კავშირი

## გმადლობთ თანადგომისათვის

ეროვნული სკოლის გახსნა სასიამაყო იყო ყველა ზუგდიდელისათვის. დღეს ეროვნულ სკოლაში 200-მდე ბავშვი ეუფლება ცოდნას, იზრდება ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთებით.

მიუხედავად ფართო საზოგადოების თანადგომისა, სკოლა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ერთ-ერთი იყო შენობის საკითხი, რომელიც ამჟერად ნაწილობრივ მოგვარდა. სკოლა გადავიდა აგროსამრეწველო გაერთიანების შენობაში.

მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც უანგარო თანადგომა აღმოგვიჩინა, მხარი დაგვიჭირა ჩვენს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში.

ზუგდიდის ეროვნული სკოლის პედკოლექტივი.

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“

ახალი აღთქმა. მათე 23.37.

## საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პროგრამა

1. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თავის უპირველეს მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და სამართლებრივი, დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფოს შექმნას.

2. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის იდეურ საფუძველს წარმოადგენს ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგია. იგი ეყრდნობა მსოფლიოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის წესდებას და საპროგრამო დოკუმენტებს, უხამებს რა მათ ქართველი ერის ტრადიციებს.

3. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რომლის სამართლებრივი საფუძველი იქნება გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.

იგი იცავს ადამიანებისა და იდეების იმ თავისუფალ გადანაცვლებას, როგორც ეს დაკანონებულია ჰელსინკის საბოლოო აქტში. კავშირი წინააღმდეგია ძალადობის გამოვლინების ყოველგვარი ფორმისა, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ზემოქმედებისა. იგი აღიარებს მოქმედების მხოლოდ მშვიდობიან, ზნეობრივ ფორმებს.

4. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიზანია ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და გამოთქვამდეს საკუთარ შეხედულებებს, აუცილებელია თითოეული ადამიანის ღირსებისა და იდეალების პატივისცემა განურჩევლად ასაკისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა.

5. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი ცნობს საკუთრების ოთხ ფორმას: კერძოს, შერეულს, კოოპერაციულსა და სახელმწიფოს. ამასთანავე თვლის, რომ კერძო საკუთრება უნდა იყოს ხელშეუხებელი, როგორც პიროვნების თავისუფლების გარანტია.

6. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მიიჩნევს რომ საქართველო არის ქართველთა ქვეყანა. საქართველოს ტერიტორიაზე სუვერენული უფლებებით სარგებლობს ქართველი ერი. საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს ნებისმიერი ერისა და აღმსარებლობის, მსოფლმხედველობის მქონე პიროვნება, რომელიც ცნობს საქართველოს კონსტიტუციასა და ქართველი ერის ინტერესებს.

7. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თვლის, რომ ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია მსოფლიოს ქრისტიანულ-დემოკრატიულ ძალებთან მჭიდრო ურთიერთობა, რაც გამოიხატება იმაში რომ კავშირი იბრძოლებს ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში გაწევრიანებისათვის.

8. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირს მიაჩნია, რომ ქართველი ერის ნების გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საყოველთაო, დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეული მთავრობა.

9. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის აზრით, საქართველო 1921 წელს დაიპყრო წითელმა არმიამ და დღემდე იმყოფება მის ტყვეობაში. იგი უმართებულოდ თვლის ყოველგვარ პირდაპირ თუ ფარულ ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში, რაც გამოიხატება ეთნოკონფლიქტების ხელოვნური გამოწვევით. ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი ჩვენივე საკუთარი თავის მართვას იმპერიის მხრიდან.

10. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის აზრით აუცილებელია ფართოდ გაიშალოს საქველმოქმედო საქმიანობა, რამეთუ თითოეული ქრისტიანის ვალია დაეხმაროს გაჭირვებულ მოყვასს.

11. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თავის უმთავრეს მოვალეობად თვლის ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლას და მათ დადებითად გადაჭრას. სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ახალგაზრდობის ინტერესების დაცვას. აქედან გამომდინარე კავშირი თანამშრომლობს პარლამენტის შესაბამის კომისიასთან.

12. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მიიჩნევს რა ქრისტიანულ ზნეობას ჭეშმარიტების გზაზე სიარულის აუცილებელ პირობად, თვლის, რომ აუცილებელია თითოეული პიროვნების თავისუფლება, რამეთუ ის არის გარანტი საზოგადოების თავისუფლებისა.

1991 წელი.

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-8-1 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „საჰაერო ხომალდის გატაცება (242-2 მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება (243-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“.

2. მე-12 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გამოყენებისათვის (240-ე მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლი)“.

3. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში სიტყვების „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (242-2 მუხლი)“ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლი)“.

4. მე-54-1 მუხლის მესამე პუნქტში სიტყვების „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (242-2 მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“.

5. 55-ე მუხლს მეექვსე ნაწილის მე-2 პუნქტში სიტყვების „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (242-2 მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლის პირველი ნაწილი)“.

6. 243-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 243. სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება**

სატრანსპორტო საშუალებათა, ესე იგი ყველა სახის ავტომობილის, ტრაქტორის და სხვა თვითმავალი მანქანის, ტრამვაი-ტროლეიბუსის, აგრეთვე მოტოციკლის და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გატაცება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, თუ გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ანდა რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11);

126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „243-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“ შეიცვალოს სიტყვებით „243-ე მუხლით“.

მე-400 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „243-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

III. საქართველოს სსრ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420).;

1. 121-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, ან მართვის გადაცემა არასრულწლოვანისათვის.**

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს ამ საშუალებათა მართვის უფლება, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება,—

გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთას მანეთამდე.

იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა, ტროთის, გზების, საგზაო და სხვა ნაგებობათა ან სხვა ქონების დაზიანება,—

გამოიწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე ან სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლით ჩამორთმევას.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა არასრულწლოვანისათვის,—

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლით ჩამორთმევას“.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 122-ე მუხლი:

**„მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე.**

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სხვისი, ან შენიღბული, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით,—

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, — გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციას“.

3. 208-ე და 279-ე მუხლებს ციფრების „[illegible]“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „121-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 122-ე მუხლის მეორე ნაწილით“.

4. 209-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „116-126-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „116-120 მუხლებით, 121-ე მუხლის პირველი ნაწილით, 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 124-126-ე მუხლებით“.

მეორე პუნქტში სიტყვები „121-ე მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით „121-ე მუხლის პირველი ნაწილით, 122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

5. 262-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „95-ე მუხლით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „121-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებითა და 122-ე მუხლის მეორე ნაწილით“.

6. 269-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს ციფრები „122“.

7. 295-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „(გარდა ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის შესახებ საქმეებისა)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“.

IV. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

**თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.**

---

წიგნის თაროს [illegible]

## სპეციალური დაკვირვების ობიექტში

გამოვიდა ჩვენი კუთხის მკვიდრის [illegible] ცნობილი ლიტერატორის ტ[illegible] მოსიას ახალი წიგნი სათაურით „ეტიუდები“.

წიგნში **განხილულია** დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოეზიის დღემდე შეუსწავლელი ზოგიერთი საკითხი. სპეციალური დაკვირვებისა თუ კვლევა-ძიების ობიექტშია მოქცეული „დავითიანისა“ და არჩილის ავტორთა მსოფლმხედველობრივი და მხატვრული სამყარო, ლიტერატურული წყაროები. კერძოდ, წარმოჩენილია ამ ორი დიდი შემოქმედის კავშირურთიერთობა ქრისტიანულ მოძღვრებასთან, სასულიერო და საერო მწერლობასთან და ა. შ.

„დავითიანის“ მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებათა შეფასებისას [illegible] როგორ წარმოგვიჩენს ავტორი პოეტს: „მართლის თქმა, სინამდვილის რეალისტური ფერწერით წარმოსახვა, კეთილისა და ბოროტის ჭიდილი, მზის, გაზაფხულის სურათების დახატვა, სამშობლოს უზღვრო სიყვარულის, საქართველოს დაკნინებული სხეულის გამართლება-გამთლიანების, მორალური კათარზისის, სამართლიანობის, თავმდაბლობის, გაუმაძღრობის, მოდუნების, ბედისადმი ბრმა მინდობის, ნდობისათვის თვალდახუჭულად მიდევნების დათრგუნვა.. აღდგომის, ამაღლების იდეის, მოწოდება—აი, საკითხთა არასრული წყება, რომელიც დავით გურამიშვილის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის არეალში იყრის თავს.

წიგნში არაერთი არგუმენტული დამაჯერებელი ორიგინალური აზრია დემონსტრირებული, რითაც ავტორი ნიჭიერ, ლიტერატურული კვლევის გარკვეული ოსტატობის ფლობით წარმოგვიჩნდება.

ხსენებული წიგნი სარგებლობას მოუტანს მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტ-ფილოლოგებს, ასევე დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

---

**პოზიცია**

## საპროტესტო აქცია გრძელდება

როგორც ვიუწყებოდით, ეროვნული კონგრესი ატარებს საპროტესტო აქციებს მთელი საქართველოს მასშტაბით. მჯდომარე გაფიცვა გამოცხადდა თბილისში, გორში, თელავში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში.

ზუგდიდში მიმდინარე აქცია კვლავ გრძელდება. 9 თებერვალს საზოგადოებრიობის ინტერესების გათვალისწინებით შედგა სახელდახელო მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი კ. ჭაჭუა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები ქ. ტაბალუა, ზ. სარია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი თ. ბერაძე და სხვები.

მიტინგის მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა;

1. მოვითხოვთ საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან და ამის შესახებ ოფიციალურად საკითხის დასმას საკავშირო ხელისუფლების წინაშე.

2. მოვითხოვთ, ნიენიჭოს საქართველოს ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი და დაისვას მისი დეოკუპაციის საკითხი საკავშირო მთავრობის წინაშე.

3. დაჩქარდეს კანონის მიღება საქართველოს მოქალაქეობისა და მიწის შესახებ, რის შემდეგაც მიწა უნდა გადაეცეს კანონიერ მესაკუთრეს—გლეხს სამუდამო სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით.

4. მოვითხოვთ პრეფექტურის ინსტიტუტის, როგორც ანტიდემოკრატიული მართვის სისტემის—გაუქმებას!

5. ბოიკოტს ვუცხადებთ საკავშირო ხელისუფლების მიერ როგორც 17 მარტს, ასევე 31 მარტს დანიშნულ რეფერენდუმს. ქართველმა ხალხმა 1918 წელს გამოხატა თავისი ნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებით. ეს კანონი იურიდიულად დღესაც მოქმედია, თუმც ფაქტიურად შეჩერებულია, ამიტომ ყოველგვარი რეფერენდუმი ამ საკითხზე მიუღებელია დღეს ქართველი ერისათვის.

6. მოვითხოვთ პრესისა და სიტყვის თავისუფლებას. საქართველოში არსებულ ყველა პარტიას მიეცეს პრესასა და ტელევიზიაში გამოსვლის შესაძლებლობა.

ვგმობთ ენერგეტიკოსთა ახლადშექმნილი კავშირის განცხადებას, რომელშიც პროვოკატორებად არიან მონათლული ეროვნული კონგრესის წევრები და ელექტროენერგიის შეწყვეტით ემუქრებიან ტელევიზიას მათი გამოსვლებისათვის. ესაა ძალადობის უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც უნდა დაგმობილ იქნეს ყოველი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის მიერ.

**ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციურ ორგანიზაციათა პრეს-ცენტრი**

* * *

**მინაწერი;** 12 თებერვალს შექმნილი სიტუაციის გამო აქცია დროებით შეწყდა. იგი კვლავ გაგრძელდება.

## შტრიხები პორტრეტისათვის

ამ ორიოდე წლის წინათ მშობლიურმა ზუგდიდმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში, ლეგენდარულ ნონა გაფრინდაშვილს.

ეს წერილიც იმ დღეების საზეიმო განწყობილებითაა შთაგონებული. ვფიქრობთ, მკითხველი მას გულგრილად არ ჩაიკითხავს.

# მის ცხოვრებას ჰქვია ლეგენდა

ძნელია სიტყვებით გამოხატო ჭადრაკის დედოფლის სიდიადე. ალბათ ცოტას ნიშნავს ამ საოცარი ფენომენის შესახებ თქვა: იგი ფლობს მაგიურ კვერთხს, და შთაბეჭდილებაც იქეთი რჩება, თითქოს მისტიური ძალების ტყვეობაშია. მისი საჭადრაკო ნათელხილვა შთაგონებულია უნიკალური ზეგარდმო ნიჭით და კოლოსალური შრომის მოყვარეობით.

ყოველ ერს ალბათ თავისი ნონა გაფრინდაშვილი ჰყავს. შესაძლოა ფრანგი ქალში მარია ტიუდორის შეუპოვრობას ჰვრეტს, იტალიელი — ლეგენდარული ელეონორა დუზეს ელეგანტურობას.

ჩვენ, 50-იანი წლების ზუგდიდელ მოსწავლეებს ჩვენი ნონა გვყავს. კედრაჭა თეთრბაფთებიანი კიკინებით, ვერცხლის ჭვალივით მოძრავი, ჭკვიანური და სევდიანი თვალებით მზირალი.

1960 წელი. 20 წლის ქალიშვილი მზიური კოლხეთიდან ილუზიას უმსხვრევს ყველა საჭადრაკო ტახტის მაძიებელს.

ქარიშხალივით შეიჭრა იგი პრეტენდენტთა საკრებულოში და ყველა დაარწმუნა, რომ გაფრინდაშვილის ნიჭთან პაექრობა ცეცხლთან თამაშს ნიშნავს.

ნონა გაფრინდაშვილმა მოიმოქმედა დიდი და უპრეცედენტო რამ: აღადგინა წონასწორობა, ჰარმონია ქალთა და მამაკაცთა ჭადრაკს შორის.

ქართველის დედავ! რა ამაყად წარმოითქმება შენი სახელი. ოდითგანვე ამოუხსნელი, იდუმალი და მშვენიერი იყავი და დღემდე ასეთად დარჩი. და თუ ამ სიტყვების ღირსი ხარ შენ, ჩვეულებრივი მოკვდავი კოლხი ქალი, რა ეპითეტებით უნდა შევამკოთ ის, ვინც ღმერთთან წილნაყარია, ვისი შემოქმედებითი ფანტაზია ზღვარ დაუდებია.

ვაქებით ნონა გაფრინდაშვილს და ვგულისხმობთ ოდიშარ ქალთათვის ჩვეულ სილბოს და კდემამოსილებას, ფილიგრანულ გონებას და უდრეკ სულის ძალას.

გინდათ იხილოთ ქართველი დედის ცოცხალი ხატი? მზერა მიაპყარით ჭადრაკის ამ ჯადოქარს, ერთგულ მეუღლეს და სახელოვანი შვილის აღმზრდელს.

გინდათ გაზომოთ ადგილის დედის მაგნიტური არე? ამასაც ქალბატონი ნონა დაგეხმარებათ. იგი ეთაყვანება საქართველოს, მის თითოეულ გულს „დედა თბილისს", მაგრამ ზუგდიდი, მისი აკვნის დამრწევი და დამფრთიანებელი, მისი სულის ყველაზე დიდი ტკივილი და ვალარია.

ჩვენ უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ ძველი დროის ბრძენის მეგონებას: სასწაულმოქმედია ის, ვინც შეუცნობელის ლაბირინთებში ახალი ბილიკების გაკვალვას შეძლებს.

ნონამ ახალი ბილიკები გაავლო ჭადრაკის ჯადოსნურ სამყაროში, ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: იგი სასწაულმოქმედია.

ზ. ცხონდია.

## პრობლემა: საზოგადოებრივი რეზონანსი

# განახლების პროცესი დასაჩქარებელია

ასეთ დროს, როცა საქართველო ახლებური ცხოვრების მიჯნებს სახავს, ურთულეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ეჭიდება, უკანა პლანზე უნდა გადავწიოთ პირადი ინტერესები, მისწრაფებები, მით უფრო ამბიციები. მინდა მკითხველმა კარგად გამიგოს. ამით იმის თქმა როდი მსურს, რომ პიროვნებამ უარი თქვას საკუთარ პოზიციაზე, ღირსებებზე. პირიქით, სწორედ პირადი ღირსების გრძნობამ, შინაგანმა მოქალაქეობრივმა სინდისმა უნდა გვკარნახოს მაქსიმალური ძალის გაღება სამშობლოს ინტერესებისათვის. არადა, საქართველოს ახლა ნამდვილად რთული დღეები უდგას. რატომ და რის გამო, ყველასათვის გასაგებია. მართვის ავტორიტარულმა რეჟიმმა, მასებისათვის ძალით თავზე მოხვეულმა იდეოლოგიურმა და ეკონომიკურმა დოქტრინამ შეაფერხა, გაყინა თავისუფალი აზრის მოძრაობა, ადამიანთა თვითინიციატივა, წლების მანძილზე ტაბუ ჰქონდა დადებული კერძო საკუთრებას, როგორც ვიწრო, მომხვეჭელური ფსიქოლოგიის გამოვლინების წყაროს. თუ რომელიმე ალღოიანი კაცი ხელსაყრელ, მომგებიან საქმეს წამოიწყებდა, მას საზოგადოების ანტიპოდად წარმოადგენდნენ. რამდენი ასეთი ყბადაღებული აკრძალვები გვახსოვს. ეს ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლის, თუ უკანონო შემოსავლების აღკვეთის ღონისძიებებით. ეს შინა მრეწველთა შეზღუდვის კამპანიაო და ა. შ. სწორედ ამდაგვარმა ბიუროკრატიულმა მიდგომებმა შეუბორკა ხელ-ფეხი მშრომელ ადამიანებს, ხოლო ყველა დონის ჩინოვნიკები და შემმოწმებელ-კონტროლიორები უზომოდ გაალაღა. ასეთ პრაქტიკას საბოლოოდ თუ არ მოეღო ბოლო, ძვრას ვერ ვიზამთ წინ. ახალმა ხელისუფლებამ რაც შეიძლება მალე უნდა შეიმუშაოს კანონები მიწის შესახებ, აგრეთვე ნორმატიული აქტები სახელმწიფო საკუთრების განკერძოების, ეგრეთ წოდებული პრივატიზაციის თაობაზე. ეს ის გზაა, რომელიც ინიციატივიან მოქალაქეთა ჭკუას და გერგილიანობას სამზეოზე გამოიყვანს და ყოველივე ამას რესპუბლიკის ინტერესების სამსახურში ჩააყენებს. ნურავის ნუ მოეჩვენება კერძო საკუთრების დაშვება ნეგატიურ მოვლენად. პირიქით, კერძო ინიციატივებისათვის მწვანე შუქის ანთებით უნდა გავიდეს წინ ჩვენი ეკონომიკა. საკუთრების მრავალნაირი ფორმების დამკვიდრებით დავუბრუნებთ პიროვნებას საკუთარი ძალებისადმი რწმენას, პირად ღირსებას, შრომის სიხარულს.

დ. გერგედავა,
ინჟინერი.

## ნიკოლოზ მუსხელიშვილის 100 წლისთავის გამო

# დიდი ქართველი მეცნიერი

მიმდინარე წლის 16 თებერვალს ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს სახელგანთქმული მეცნიერის, სოციალისტური შრომის გმირის, სახელმოხვეჭილი აკადემიკოსის ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის დაბადების 100 წლისთავს.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს ქალაქ თბილისში. მან აქვე დაამთავრა კლასიკური გიმნაზია. 1914 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ამავე სასწავლებელში დატოვეს, სადაც პროფესორის წოდება მოიპოვა.

1920 წელს ნ. მუსხელიშვილი ბრუნდება თბილისში. მას შემდეგ მისი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული მათემატიკური სკოლა, რომლის შესანიშნავი მიღწევები ფართოდ არის ცნობილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1941 წელს აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ოცნება — საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნ. მუსხელიშვილი. იგი იყო მისი უცვლელი პრეზიდენტი სამი ათეული წლის მანძილზე.

ნ. მუსხელიშვილი ავტორია 80-ზე მეტი მეცნიერული შრომისა და ფუნდამენტური გამოკვლევისა, რომელიც ღირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიო მეცნიერების ოქროს ფონდში. მისი შრომები ფართოდ არის გამოყენებული თანამედროვე უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, კოსმოსის ათვისებაში. ამიტომაც იგი დამსახურებულად იყო მსოფლიოს რამდენიმე აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი.

ზუგდიდის სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებებში ღირსეულად აღინიშნება დიდი ქართველი მეცნიერის დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღი.

მ. ხარჩილავა,
დ. აპსავა,
პედაგოგები.

## გახსენება

სიკვდილი ერთგვარი გამოცდაა კაცისთვის. წავა ამქვეყნიდან ღვთის შვილი და როცა დავაკვირდებით მისი არყოფნით გაჩენილ სიცარიელეს, ამ პიროვნების ფასს და წონას უფრო ვგებულობთ. ზოგჯერ გამონაკლისიც ხდება. ადამიანის ნა-

# ზნეკეთილი კაცი

კვალევი იმდენად უმნიშვნელოა, რომ შარშანდელი თოვლივით, რომ იტყვიან, დავიწყებას მიეცემა ხოლმე. ერთ-ერთი იმ ღირსეული პიროვნებათაგანი, ვისაც კეთილად მოიგონებენ ზუგდიდელები, ბატონი იპოლიტე თითმერიაა. ამ ზნეკეთილმა და უპრეტენზიო პიროვნებამ მართლაც რომ ნათელი და მყარი კვალი გაავლო თანამემამულეთა ცხოვრებაში.

ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს, მეტადრე მისი ახლოს ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს პიროვნება, მაგრამ ჩვენც ძალგვიძს მისი ცოცხალი სახე აღვადგინოთ ხსოვნაში. მაინც ვინ იყო, რა კაცი გახლდათ ბატონი იპოლიტე? ცალსახად თუ ვიტყვით, ერთი ჩვეულებრივი, თავმდაბალი, უპრეტენზიო მუშაკი საალრიცხვო დარგისა, მაღალკვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ჩვენ კი ასე ვიტყოდით: იყო პიროვნება უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს პატრიოტი, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის კაცი, რომელიც თავის პროფესიონალურ საქმიანობაში თაყვანს სცემდა მხოლოდ ობიექტურობისა და აკურატულობის ღმერთს. მას საკუთარი ხელწერა ჰქონდა და მის ტრადიციებს დღეს ამ უანგარო მუშაკის მიერ დაკვალიანებული უმცროსი კოლეგები ანვითარებენ.

ჩვენ გვინდა მისი პიროვნების კიდევ ერთ მხარეს მივაპყროთ მკითხველის ყურადღება. იგი იყო საოცრად ჰარმონიული, სათნო მოქალაქე, მუდამ ორიენტირებული მოყვასის სიყვარულისკენ, მხარდაჭერისაკენ. შესანიშნავად არის ნათქვამი: ძნელია დალაშქვრა მწვერვალისა, რაიმე აღმოჩენის გაკეთება, მაგრამ კარგი მოქალაქეობა ყველაზე საძნელო საქმეაო. იპოლიტე თითმერიასთანა ადამიანები აკლდებიან არა მარტო თავის ოჯახს, არამედ ქალაქს, საზოგადოებას. ამ ფუტკარივით დაუღალავმა ადამიანმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა, ღირსეული შვილები აღზარდა. მისი სახელოვანი ვაჟი ჯუმბერი სერიოზული ძალაა დღევანდელ ქართულ მწერლობაში. იგი ნამუსის და კაცურკაცობის მამისეულ გზას აგრძელებს.

ჩვენი ქალაქის მკვიდრნი დღესაც კეთილად, მადლიერების გრძნობით იგონებენ ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ იპოლიტე თითმერიას.

ჯ. თელია.

ქალაქის №1 საშუალო სკოლას ბევრი სახელოვანი პედაგოგი გამოაკლდა, მათ შორის იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ამბაკო ცხაკაია. წელთა ნამსახურებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის

# დიდი პედაგოგი

არა ერთი ჯილდოს კავალერი.

მუდამ მშვიდი და თავისთავში დაჭერებული პედაგოგი უდრტვინველად იტანდა ორი ვაჟკაცის დაღუპვას დიდ სამამულო ომში. დაჭრილ გულს ისევ მოსწავლეების აღზრდაში იმთელებდა, იწვოდა და იფერფლებოდა.

ისე მოკვდა ერთიც არ დაუკვნესია. იგი დაიტირა მთელმა ზუგდიდმა, მისმა აღზრდილებმა. დაკრძალვის დღეს ფოსტალიონს უწყვეტლივ მოჰქონდა დეპეშები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ეს მისი ყოფილი მოსწავლეები ეთხოვებოდნენ დიდ პედაგოგს, რომლის ნათელ ხსოვნას არ მიჰკარებია დავიწყების ბურუსი.

გ. ასათიანი.

# პატივცემულო ტელემაყურებლებო!

როგორც საყოველთაოდ ცნობილია მთელს საქართველოში მტკივნეულად იგრძნობა ელექტროენერგიის დეფიციტი. ამის გამო გაჩერებულია მრავალი საწარმო, ელენერგიის მიწოდება უწყდება ქალაქებსა და სოფლებს. ანალოგიური რთული მდგომარეობაა ქალაქ ზუგდიდშიც.

ელექტროენერგიის ხშირი გამორთვები ძალზე უარყოფითად მოქმედებს ზუგდიდის ტელეგადამცემი სადგურის მუშაობაზე. მისი მოძველებული დანადგარმოწყობილობანი ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს და ელექტროდენის დაბალი ძაბვის დროს ხომ რაიმე ხარისხიან ტელეგადაცემაზე საუბარიც ზედმეტია.

ტელეგადამცემ სადგურს არ გააჩნია თავისი საკუთარი—ავტონომიური ელექტროკვება. დაბალი ძაბვის გამო, განსაკუთრებით 20 საათიდან 21 საათამდე გადაცემები მიდის ხარვეზებით, როგორც ზუგდიდში, ასევე ჯვარში, წალენჯიხაში და ჩხოროწყუში. ეს რეგიონები ზუგდიდის ტელესადგურიდან ღებულობენ გადაცემებს. ჩვენ, ტელეგადამცემი სადგურის თანამშრომლები, უძლურნი ვართ უზრუნველვყოთ ელენერგიის მოწოდების სტაბილურობა.

იმედია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება და ჩვენც ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ტელეგადაცემების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მ. გრიგოლაია,
ნ. ჩილაჩავა,
ზუგდიდის ტელეგადამცემი სადგურის თანამშრომლები.

სტრიქონები წერილებიდან

## სიყვარულს არ იშურებენ

დღეს ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორ უჭირს საქართველოს. დალხინებული ცხოვრება არც საბავშვო ბაღებში გვაქვს, მაგრამ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენმა პატარებმა ზრუნვის მაქსიმუმი იგრძნონ. ქალაქის №29 საბავშვო ბაღში (გამგე ნ. ქიოიაკ) მშობლები ყოველთვის იმედიანად ვტოვებთ ბავშვებს, რადგან ვიცით, რომ აღმზრდელები ნ. ბუკია, ბ. გობეჩია, მუსიკის მასწავლებელი ფ. ბერაძე და სხვები სიყვარულს და სითბოს არ დაიშურებენ ჩვენი პატარებისათვის. სწორედ რომ მისაბაძია მათი გულისხმიერება.

მ. გოგილავა.

სამაჩაბლოს მოვლენების ექო

ვერ წარმომიდგენია ისეთი ქართველის, თუ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანის არსებობა ჩვენს კალთადალოცვილ მიწაზე, ვისაც ღრმად არ აფიქრებდეს სამაჩაბლოში ამჟამად შექმნილი ვითარება. ოსი ხალხი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდით, დღეს სასიკვდილო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს. იწვევა როგორც ქართველთა, ისე ოსთა ხალხები. საუკუნოვანი სამკვიდროდან აიყარნენ ოჯახები, რათა განერიდონ ტყვიების წვიმას, ხანძარს. ლტოლვილთა რაოდენობა, მათი მიერ ყოფა მეტად დამძიმებულია. აკვირდები ამ მოვლენებს და გეუფლება ფიქრი: რატომ მოხდა ყოველივე ეს, შეიძლებოდა თუ არა აცილებული ყოფილიყო ამდენი მსხვერპლი? კითხვის დასმა, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია. მაგრამ აი, მიზეზების ძიება და ობიექტურად გაანალიზება კი უფრო ძნელია. ამის განმაპირობებელი ფაქტორები ათეული წლების წინათ გაიდგეს ფესვები. იგი უკავშირდება 1922 წლის ამბებს, როცა საბჭოთა რუსეთის მიერ გალაშქრებული და ფრთებშესხმული ადგილობრივი ბოლშევიკები შიდა ქართლში აუკაიოებდნენ ხელოვნურად შეკოწიწებულ ავტონომიურ წარმონაქმნს და მას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს არქმევდნენ, ამით საბჭოთა რუსეთმა იმთავითვე ჩაუყარა საფუძველი ძმათა შორის შუღლის ჩამომგდებ სატანურ კერას, რასაც კრემლი მეხუთე კოლონის ფუნქციის მატარებლად მიიჩნევდა.

რაოდენ შემაძრწუნებელია გაუბედურების წადილი ... სრულიად ... მამულის შვილებს ... ატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა.. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვ...

# ჩვენ სხვათა დამონება არა გვჩვევია

ოსი ექსტრემისტების თავგასულობა, მათი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეების უმადურობა. გასაკვირია პირდაპირ, ასე რამ უნდა დაუბნელოს გონება ადამიანს, რომელმაც ცოლ-შვილი ქართული მიწის ხვავითა და ბარაქით გამოზარდა, ვისთვისაც ქართველ კაცს კეთილი გულის მეტი არაფერი შეუგებებია. ამ დალოცვილებს, ჩვენი თაობისა თუ არა სჯერათ, დიდ ილიას მაინც უგდონ ყური. ჩვენს ხალხს ვინ არ მიუღია ხიზნად, კალთა გადაუფარებია, ათასგვარი მოძალადისაგან დაუცვია. აი, რას წერს ბრძენი ილია: „ჩვენში მამულის სიყვარული, სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა, იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე თავისუფლების დათრგუნვისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ვით ჩვენი მამულის შვილები ცოდვა ყოფენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისარგებლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, სიმდიდრის აძალლებისა და კეთილ-დღეობისა".

ოსეთის იმ გონებაარეულ სეპარატისტებს, რომლებიც იმპერიული ძალების სალაშურის ხმაზე აუქსადებენ, ვურჩევ ღრმად ჩაუკვირდნენ ამ სიტყვებს და დროზე მოეგონ გონს. ქართველებთან იარაღის ენაზე საუბარი წამგებიანია და რაც უფრო მალე მიხვდებიან ამას, მით უფრო მოგებულნი დარჩებიან თავად.

ნ. აკობია,
პედაგოგი.

**გაერთიანება „ორიონი"_გთავაზობს**

დიდი წარძატებით ხიმდისარეობს შეკვეთების მიღება კომპლექსურ გამოცემებზე (ჯ. სტაინბეკის საქვეყნოდ გახმაურებული რომანი „მრისხანების მტევნები", დღევანდელ საჭირბოროტო მდგომარეობაზე შექმნილი მწვავე პუბლიცისტური წერილების კრებული—„ვის უხმობს ზარი"; რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ ფერადი და არაფერადი სახატებით მდიდრულად ილუსტრირებული რჩეული ქართული ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების კრებული „იყო და არა იყო რა"; „უნივერსალური საოჯახო წიგნი", რომელიც მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის სუფრის დამამშვენებელი საჭმელების მომზადების ძველებურსა და თანამედროვე რჩეულ რეცეპტებს, მსოფლიოს ხალხთა საჭმელების მომზადების ორიათასამდე რჩეულ რეცეპტს, მეცნიერულად დასაბუთებული კვების საფუძველზე სიცოცხლის გახანგრძლივების წესებს და სხვა; ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო!", გინესის „მსოფლიო საიცრებანი". ილუსტრირებული „მსოფლიოს ხალხთა ანეკდოტები"; ა. გელოვანის „მარად ცოცხალი ხელოვნება"; ილუსტრირებული ბიბლია და სხვა). უფრო ვრცლად იხ. „მამული" №6, გვ. 10; „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი" №21, გ. 7. მაგრამ, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მსურველები რეკავენ, მოდის წერილებიც, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოითხოვენ ამ მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შეკვეთების თანაბრად განაწილებას არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რაიონების მცხოვრებლებზეც. მოთხოვნა სამართლიანია. და მაინც, როგორც პრესა შენიშნავს, შემოთავაზებული წიგნების ტირაჟი რამდენიც გნებავთ იყოს, ყველას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, იგი ყველგან უნდა განაწილდეს. ამიტომ ადგილობრივმა ორგანოებმა (კულტურის განყოფილებებმა, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებებმა თუ კერძო ენთუზიასტებმა) დაბეჯითებით უნდა მოსთხოვონ შეკვეთების მიმღებებს (თბილისი, ტელეფონი: 98—23—47; 37—23—29) თავიანთი მსურველების დაკმაყოფილება. მათ, მსურველებს, შეკვეთების მიმღებებიც სათანადო ყურადღებით უნდა მოეპყრან.

თითოეული კომპლექსური ხელმოწერის ღირებულება 20 მანეთია.

## ბაქანიხაკი არ ჩანს...

რუხის საცხენოსნო სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე დაიხარჯა ათასობით მანეთი. დაირგა მარადმწვანე ხეები, მოეწყო გაზონები. მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიმდიდრეს თვით ხალხი დაიცავდა, მარამ მოხდა კი პირიქით.

სამწუხაროდ, კომპლექსის ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეთა ნაწილი არღვევს მავთულ-ბადეს და შიგ უშვებს საქონელს, ბუნებრივია, ხადგურდება. ნარგავები... გამკითხავი კი არ ჩანს...

ა. გულია,
აგრონომ-დეკორატორი.

რედაქტორი
აა. ჭახტურია.


ქორწილების, დღეობების და სხვა სრულმოცულობიანი ვიდეო გადაღებებთან ერთად გთავაზობთ მომსახურების ახალ სახეს: ყველას, ვისაც სურს ერთ კასეტაზე ჩაწეროს თავისი ოჯახის ღირსშესანიშნავი მოვლენები ნაწილ-ნაწილ, თვეების ან წლების განმავლობაში. კერძოდ: ბავშვის დაბადების, იუბილის, ნათლობის, ე. წ. ვიდეოალბომი, შეუძლიათ მოგვმართონ შემდეგი მისამართით: დავით აღმაშენებლის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის სკვერში მდებარე ფოტოვიდეო ატელიე, ან ვორონცოვის ქუჩა №1, ოსტატ ბადრი მაქაცარიასთან.

მომსახურების ფასი განისაზღვრება გადაღების დროის ხანგრძლივობის შესაბამისად.


შვილები: ჟულიეტა, ია, როდერი. მზევინარი, რძლები: მზიური, ირა შენგელიები, და პისტი, სიძეები: ტერენტი ფაცია, ამერან შეროზია, შვილიშვილები: ნატო, ბესიკი, ბაჩუკი, ნინო, ელისო, გია, ინგა. კობა, დისშვილები: ხუტა, ნოდარი. ლამარა. თინიკო. რონდიკო, რემედი, თალიკო, ვაჟა, გურამი, ომია. ნაზი, ლამარა, მულები: ლიდა, ფარფუშა, ზიძაშვილები ვლადიმერ, სანდრო, ამერან, ბოჩია, ჯემალი იზორიები, დეიდაშვილები: გრიშა, ორესტი ტიბუები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალია (მიკანდო) ყალიჩავა-მარკოზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 თებერვალს. დაკრძალვა 19 თებერვალს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კამოს ქ. 38.

შვილები თამარი, მარგო, საშა, ალიომა მირცხულავები, რძლები: ქიონია, დონა, მზია, ნანა, თამრიკო, რუსუდან, მანანა, მარიკა, სიძეები მაკარა ფიფია, ვალერიან მოლაშხია, თამაზ ჯიქია, ზურაბ გობეჩია, გერონტი თოლორდავა, შვილიშვილები: ნონა. მარინა, ემა, ელზა, ჯუმბერი, ლუჩიკო, ზურაბი, ლერი, ავთანდილ, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მინუცა ანდრიას ასულ თოდუა-მირცხულავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 თებერვალს. დაკრძალვა 17 თებერვალს სოფ. ჭულიშკარში.

დედა ანიკო, მამა ანზორი, ძმები: მამუკა, თემურ გაბისონიები. ბებიები: ვარო, ლიდა, ბაბუა იონა იზორია, რძალი მაკა კაკავა, მამიდები: ციალა, ნათიკო გაბისონიები, დეიდა თალიკო, ბიძები ალიკო, ზაურ გაბისონიები, ინვერი იზორია, გერონტი აქუბარდია, იურა მამფორია, კოტე გოგოხია, ძმისშვილი მარიკა. ბიძაშვილები: ლალი. ინგა, გაბისონიები, იურა, ჯონი, რაული. ირმა, ირინა იზორიები, სიძე ჯამბულ ჯაბიევი, მამიდაშვილები: ემილი მამფორია, თეა, სოფო აქუბარდიები, დეიდაშვილები: ნახი, ემზარ გოგოხიები, ვაჟა, ზაირა ჭედიები, ბიცოლები: ლუბო, ლუსიანე, თინა გაბისონიები, ინეზა იზორია, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ნუკრი ანზორის ძე გაბისონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 თებერვალს. დაკრძალვა 16 თებერვალს სოფ. კოკში.

შემნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ინგა გაბისონიას ბიძაშვილის

**ნუკრი ანზორის ძე გაბისონიას**

გარდაცვალების გამო.

როზა, ანზორ თოდუები შვილი დათოთი იუწყებიან

**ჯანიკო ჟორას ძე ლატარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ლუბა, მეუღლე ქეთო შამუგია, შვილები: თამუხა, ირაკლი, და როზა, დისშვილები ხათუნა ჭანტურია, გიოგი ჩაჩიბაიი, სიძეები გუგუ ჭანტურია, ბესო ჩაჩიბაია, დეიდები ლუხა, ვალენტინა, სულიკო ჯობავები, ბიძები ჭიჭიკო, ხაიო ჯობავები, ბიცოლები: თამარა კაკულია, თამარა, კლარა ჯობავები, ცოლისძმები თემური, ნუკრი შამუგიები, მამიდაშვილები თალიკო, ქეთინო, ტარიელ ჯღარკავები, ბიძაშვილები: მანანა, კაკუბავა. მურმან, ნაზო, ანზორი კაკულიები, ნანა, ლალი, დალი, ელისო ჯობავები. დეიდაშვილები ზვიად გვახარია, ქეთინო, გალინა, მარინა ჯახაიები, კარლო, მთვარისა ცაავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**სოსო ბესარიონის ძე კაკულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 თებერვალს. დაკრძალვა 19 თებერვალს, გამოსვენება ზუგდიდი, ძერჟინსკის ქ. 13.

ჭუტა, სანატრელი, ნანი, ნოდარი, იურა დოჩიები, რძლები ნელი, მარინა, სიძე გურამ ნაჭყებია იუწყებიან

**ორდენ არსენას ძე არნანიას**

გარდაცვალებას.


ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №372